


STEAM

განათლება

N1, 2024



STEAM

ვისწავლომ ჰომეპეარ ვროფესიონს!



განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო



სსიპ განსაკუთრებული
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 2720-8591



9 772720 859008

№1. 2024

განათლების მართვა • ტექნოლოგია • ინჟინერია • მათემატიკა • ხელოვნება

გამომცემელი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლაჟი

ნუგზარ მთხვარიძე

ზურაბ ბერიძე

დავით სონღულაშვილი

მანია ზიგზიბაძე

ეკატერინე კორძაძე

ნინო მარტვილი

ილია მასხვიანიძე

გიორგი ლომიძე

ქეთი ცარცვაძე

რუსუდან თაღორაძე

ნათია არაბული

მთავარი რედაქტორი
კახა ჭლენტი

კორექტორი
ნინო უჩანავაძე

დიზაინერი
მარიამ ელიზბარაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ.: +995 (32) 2 200 220
ელ.ფოსტა: info@tpdc.ge

მისამართი:
თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის | შესახვევი N6

ISSN 2720-8591

WWW.TPDC.GE



ჩეხირონი
სკიტი

გამარჯობა კოლეგებო!

როგორ შეიძლება შევუწყოთ ხელი STEAM სწავლების პრინციპების გავრცელებას სკოლებში?

პასუხი ერთია - ბევრი საინტერესო STEAM პროექტის გაკეთებით.

ბედნიერებაა როცა უყურებ გაზრდილ მოტივაციას, ბავშვების ენერგიულ ჩართულობას, ვის ახსოვს ზარი და დრო! საოცარი მიზანსწრაფვით ცდილობენ გააცოცხლონ საკუთარი იდეები მოდელებში, ეძებენ შეცდომებს კოდებში, ცდილობენ მოიფიქრონ ინჟინერული გადამწყვეტები.

სულ მცირე დანახარჯებით სკოლას შეუძლია კლუბებს ან კლასებს შეუქმნას STEAM სწავლების გარემო. ჩვენი ჟურნალის მეხუთე ნომერში გთავაზობთ მეთოდურად განვლილ პროექტებს, როგორც ინტეგრირებულებს ასევე გამოკვეთილი საგნობრივი მიმართულებით.

2024 წელს ჩვენმა ცენტრმა კვლევ დაინყო STEAM ფესტივალი „ჩხირკედელა-2“ საჯარო და კერძო სკოლების კლუბებისათვის, დაინტერესებული მასწავლებლისა და ბავშვების გუნდებისათვის.

ფესტივალი მისცემს საშუალებას ყველა ერთუზიასტ მასწავლებელს და მოსწავლეს, გააზიაროს საკუთარი პროექტი, როგორც ვებ სივრცეში, ასევე რეგიონალურ და თბილისში მონყობილ ფესტივალებზე.

პრინციპი ოლიმპიურია - მთავარი მონაწილეობაა!

მოგნონთ ჩვენი პროექტები?

იმედია გააკეთებთ და იხალისებთ, ბევრ საინტერესოს გაიგებთ და საჭირო უნარსაც შეიძენთ. თქვენ პროექტებს წარმოადგენთ? მით უფრო გაგვიხარდება!

მოუთმენლად ველით გამოცდილების გაზიარებას!

ეს ჩვენი პროგრამის გვერდია:
<https://chkhirkedela2019.wixsite.com/mysite>

გისურვებთ წარმატებებს თქვენ პროფესიულ საქმიანობაში!

პატივისცემით,

კახა ჭლენტი

STEAM ჟურნალის რედაქტორი;

STEAM სწავლების მხარდაჭერის პროგრამის „STEAM სკოლებში“ მენეჯერი;
კლუბ „ჩხირკედელა“ მასწავლებელი და წევრი.

შინაანსი

კვლევები STEAM განათლებაში

STEAM განათლება დაწყებით სწავლებასთან .2

რუსუდან თედორაძე

5

STEAM და კომპიუტერული გეგმავლობა

STEM პროექტები დაწყებით სწავლებასთან კომპიუტერული გეგმავლობის გამოყენება

ნინო მარლიშვილი

10

STEAM და მათემატიკა

პროექტი მათ-მაგელონი

თამარ ჩირგაძე

13

STEAM და ქიმია

ფიზიკის აღმოჩენი ქალაქი

დავით ფლენტი

15

წვდი გაზღვი ლაქრობისთვის

დავით ფლენტი

17

STEAM და ბიოლოგია

ფოტოსინთეზის სიჩქარის დადგენა მსურავი დისკებით

ქეთევან ფეიქრიშვილი

19

პეპლები გვასწავლიან ურანს

ქეთევან ფეიქრიშვილი

23

რა მნიშვნელობა აქვს სისხლის ჯგუფის ცოდნას?

ეკა გოგალაძე

27

ც ვიგაგინი - მნიშვნელობა და რისკები

ეკა გოგალაძე

29

STEAM და ელ.ინჟინერია

მცენარის დასვის სისიგება

თეკლა პატარიძე

31

ნიღაგის ვინაირობის კვლევა

თეკლა პატარიძე

36

ARDUINO-ს პროექტები

მუქილოების მართვა პოპენსიომეფრის ცვლადი წინაღობის საშუალებით

მაია ნაკაშიძე

42

„იპეულსური სიმსიმი“

მაია ნაკაშიძე

45



არსულან თალორაქია

ბუნებისმეტყველების ექსპერტ-კონსულტანტი,
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

STEM განათლება დანყებით საფეხურზე

ნაწ.2

კვლევის მეთოდები

კვლევითი ჯგუფი, რომელიც მონაწილეობდა პროექტის შინაარსის ანალიზში, შედეგობდა STEM განათლების ორი პროფესორისგან, რომელთა საქმიანობის ძირითადი სფერო იყო დანყებითი საფეხურის მათემატიკა, დანყებითი საფეხურის მეცნიერება (ბუნებისმეტყველება) და ინჟინერია. გარდა ამისა, თითოეულ მათგანს ჰქონდა სკოლაში სწავლების გამოცდილება, ჩართული იყვნენ და ხელს უწყობდნენ კოლეგებს, პროფესიული განვითარების გზების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

კვლევის ჯგუფის წევრები იყვნენ უფრო დიდი კვლევითი პროექტის ნაწილი, რომელიც ორიენტირებული იყო STEM საგნების სწავლების ახალ მოდელზე, რომლის შინაარსში და სწავლების მეთოდებში შეტანილი იქნებოდა საინჟინრო დიზაინის კონცეფციები, რომელსაც შექმნიდნენ და გამოცდიდნენ დანყებითი განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამებში (სურ.1).



სურ.1


კვლევის მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო ტრიადული პარტნიორობა, კერძოდ, სერვისის მომწოდებელ მასწავლებლებს, სკოლის მასწავლებლებსა და ინჟინერიის მიმართულების კურსდამთავრებულ სტუდენტებს შორის. ტრიადების მიზანი იყო თითოეულ წევრს საკლასო ოთახში განსხვავებული პერსპექტივით შეეხედა და შეეფასებინა მიმდინარე პროცესი.

ტრიადები ერთად მუშაობდნენ სასწავლო პროცესში 16 კვირის განმავლობაში, რათა დანყებითი კლასების მოსწავლეებისათვის საკლასო ოთახში გაეცნოთ საინჟინრო ცნებები და განეხორციელებინათ საინჟინრო საქმიანობა სწავლების დროს. ბუნებრივია, რომ ამ კლასების ყველა მასწავლებელი თავად იყო ჩართული ზემოთ ნახსენებ უფრო დიდ კვლევაში.

კვლევის მონაწილე ყველა მასწავლებელი და ინჟინერი (10-10 მონაწილე) შერჩეული იქნა კრიტერიუმებზე დაყრდნობით, კერძოდ, ყველა მასწავლებელს დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი, დანყებითი განათლების განსაზღვრული ხარისხით და ფლობდნენ უნივერსიტეტის სალიცენზიო პროგრამას. ინჟინრები კი იყვნენ კურსდამთავრებულები (მაგისტრი ან დოქტორანტი) ან ინჟინერიის მიმართულების სტიპენდიატი სტუდენტები. ინჟინერი საკლასო ოთახში მუშაობდა კვირაში ერთი დღე, მეცნიერების და მათემატიკის სწავლების დროს სასწავლო პროცესში ინჟინერიის (საინჟინრო დიზაინის) ჩართვის მხარდასაჭერად (სურ.2). პროექტის მონაწილეებმა სწავლის დანყებამდე გაიარეს ერთკვირიანი საზაფხულო სემინარი, რომელშიც მონაწილეთა პროფესიული განვითარება ძირითადად მიმართული იყო ორ მიმართულებაზე:

1. საინჟინრო შინაარსის ჩართვის შესაძლებლობა STEM-ში და პრაქტიკა.
2. დანყებით საფეხურზე საინჟინრო დიზაინზე დაფუძნებული მეცნიერების და მათემატიკის სწავლა.

ბუნებრივია, ტრიადის ყველა წევრს განსხვავებული ცოდნა და გამოცდილება ჰქონდა ამ სფეროში, პროფესიულმა განვითარებამ კი საშუალება მისცა განესაზღვრათ სხვადასხვა ჯგუფის საჭიროება და ხელი შეუწყოთ მონაწილეების საერთო გაგებისა და ხედვის ჩამოყალიბებას. კვირის პირველი 3 დღე სემინარს მხოლოდ 10 ინჟინერი ესწრებოდა, რომელთაც გააცნეს ეროვნული სტანდარტები მეცნიერებასა და მათემატიკაში, აქცენტი გაკეთებული იყო დანყებით საფეხურზე



სურ.2

STEM სწავლების ეფექტურობაზე. STEM სწავლების გარშემო დისკუსიის ნაწილში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა, მათ განიხილეს გაკვეთილები, ნახეს ვიდეო და გამოიკვლიეს სხვადასხვა მოდელი საკლასო სივრცეში ინჟინერიის ინტეგრირებისათვის. სემინარის ბოლო 2 დღეს კი დროის უმეტესი ნაწილი დაეთმო ტრიადულ გუნდებში თანამოაზრეებთან ერთად მუშაობას. კერძოდ, პირველ დღეს მონაწილეები ეცნობოდნენ და იღებდნენ გამოცდილებას მეცნიერების და საინჟინრო დიზაინის შესახებ, როგორც კონტექსტს კლასებში STEM-ის ინტეგრირებისთვის. განხილული იქნა ამ საკითხისადმი სხვადასხვა მიდგომა, როგორც დადებითი, ასევე არასასურველი.

სემინარის მეორე დღეს უფრო დიდი აქცენტი გაკეთდა გაკვეთილების დაგეგმვაზე და მის დიზაინზე. აღსანიშნავია, რომ აქ პროფესიული განვითარების ფასილიტატორები იყვნენ STEM-ის სამი მასწავლებელი და ინჟინერიის მიმართულების სამი პროფესორი სოფლის მეურნეობის, მანქანათმშენებლობის და ბიოტექნოლოგიების სფეროდან. მონაწილეები მუშაობდნენ გუნდურად და ფინალში უნდა წარმოედგინათ საინჟინრო / ან საინჟინრო დიზაინზე დაფუძნებული STEM პროექტი.

ამ აქტივობის მიზანი იყო:

- მონაწილეებმა გააღრმავონ და გამოიყენონ მიღებული ცოდნა
- მონაწილეებმა იმუშაონ ერთობლივად
- შეიმუშაონ ბუნებისმეტყველების და მათემატიკის შინაარსის სწავლების დროს სხვადასხვა კლასების დონეზე მორგებული, საინჟინრო დიზაინზე დაფუძნებული STEM ინსტრუქციები, დაწერგონ სასწავლო პროცესში და მოსწავლეებმა შექმნან დიზაინის ახალი ვერსია საკლასო ოთახში.

კვლევისათვის საბაზისოდ შერჩეული იქნა Hexbug¹ დიზაინი (სურ.3), რადგან არსებობს მათემატიკური და საბუნებისმეტყველო ცნებების სპექტრი, რომელიც შეიძლება ინტეგრირებული იყოს ამ საინჟინრო დიზაინში. მონაწილეები ტრიადებში მუშაობისას გაეცნენ გაკვეთილის სცენარში საინჟინრო დიზაინის კომპონენტს, რომელიც მოიცავდა მკაფიო კრიტერიუმებს, ასევე მასალებს, რომლის გამოყენებით უნდა შესრულებულიყო დავალება. კერძოდ, მათ სთხოვეს შეექმნათ ლაბირინთი Hexbug-თვის (Hexbug არის ბატარეით მომუშავე მიკრო რობოტი) შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილებით:

1 არის Innovation First International-ის შვილობილი, კერძო კორპორაცია. კომპანია დაფუძნებულია კონცეფციით, რომ დიზაინის ადრეულ ეტაპზე ინოვაციების დანერგვა აუცილებელია მარტივი, ელეგანტური პროდუქტებისა და გადამწყვეტილებების შესაქმნელად. Innovation First-მა დაიწყო ელექტრონიკის წარმოება უპილოტო მობილური სახმელეთო რობოტებისთვის და ახლა არის გლობალური ლიდერი ტექნოლოგიების, რობოტიკისა და STEM განათლების ინდუსტრიაში. როდესაც HEXBUG 2007 წელს პირველად შემოვიდა სათამაშოების ინდუსტრიაში, მათი მიზანი იყო ბავშვებს ადრეულ ასაკში მიეღოთ პოზიტიური გამოცდილება რობოტიკის სფეროში. თავდაპირველად, ყურადღება მიიპყრო მათმა რობოტმა სათამაშოებმა. ახლა, კი აქვთ 100-ზე მეტი სხვადასხვა სახის სათამაშო, ასანყობი კომპლექტიდან დაწყებული მებრძოლ რობოტებამდე. დღესდღეობით HEXBUG პროდუქტები აგრძელებს ფანტაზიის გაღვივებას ინოვაციური ტექნოლოგიით, რომელიც უყვართ ყველა ასაკის ბავშვებსა და მოზრდილებს.

1. ლაბორინტი უნდა იყოს მინიმუმ 30 სმ სიგრძის
2. Hexbug (სურ.4) უნდა გადაადგილდეს ლაბორინტში შეხების გარეშე
3. უნდა გააკეთოს მინიმუმ ორი ბრუნე
4. უნდა ავიდეს რაიმე წინააღმდეგობაზე



სურ.3



სურ.4

მონაწილეებს ლაბორინტის ასაგებად შეეძლოთ გამოეყენებინათ შემდეგი მასალები: ალუმინის ფოლგა, ჩხირები, მუყაო, ქაღალდი, ნებო.

ჯგუფებს წინასწარ დაურიგდათ Hexbug-ის ნიმუში და დეტალური ინსტრუქცია. ჯგუფებმა შეისწავლეს ეს მონაცემები და მოახდინეს ლაბორინტის დიზაინში მისი გენერირება, ხოლო მას შემდეგ რაც დაასრულეს მუშაობა, გამოცადეს თითოეული მათგანი კრიტერიუმების გათვალისწინებით და მიიღეს უკუკავშირი აკადემიური ფასილიტატორებისგან.

როგორც Capobianco და Rupp (2014) აღნიშნავენ, ინჟინერიის ინტეგრაცია, რომ სრულად განხორციელდეს, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორ გვემავენ და ახორციელებენ მასწავლებლები დიზაინზე დაფუძნებულ აქტივობებს და ინსტრუქციებს.

განხორციელებულმა აქტივობამ საშუალება მისცა მკვლევრებს განესაზღვრათ STEM კონცეფციები, რომლებსაც შეიმუშავებდა ტრიადები. მონაცემთა შეგროვების ფარგლებში მოხდა მონაცემთა ოთხი წყაროს კვლევა, რომელიც გამოიყენებოდა STEM კონცეფციე-

ბის დასაფიქსირებლად და რა უნარები განივითარეს მონაწილეებმა .

პირველი - საზაფხულო ვორქშოპის მონაწილეების საინჟინრო დიზაინის გამონვევა, როგორც შინაარსის, ასევე პედაგოგიკის მხრივ;

მეორე - თითოეულმა ტრიადამ შექმნა გაკვეთილის გეგმა, თუ როგორ აპირებდნენ ინჟინერიის ჩართვას დაწყებით კლასში;

მესამე - მონაცემები აღებული იყო განხორციელებული გაკვეთილებიდან, რომელშიც გათვალისწინებული იყო ერთი ან ორი დამკვირვებლის შენიშვნები. გაკვეთილების შეფასება ხორციელდებოდა შეცვლილი STEM ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შეფასების (STEM-ICA) ინსტრუმენტით, რომელიც შემუშავებულია Guzey et al. (2016) მიერ. შეცვლილი STEM-ICA ინსტრუმენტი შედგება შვიდი კონკრეტული კომპონენტისგან, რომლებიც მჭიდროდ შეესაბამება იმას, რაც იყო შემოთავაზებული საკლასო სივრცეში STEM ინტეგრაციის ჩარჩოში (Moore et al. 2014; Moore et al. 2014), როგორც მნიშვნელოვანი მოსაზრებები ინტეგრირებული STEM გაკვეთილების და სასწავლო გეგმისთვის.

შვიდი კომპონენტი მოიცავს შემდეგს:

- მამოტივირებელი და მიმზიდველი კონტექსტი
- მონაწილეობა საინჟინრო დიზაინის შექმნაში
- საბუნებისმეტყველო და მათემატიკური შინაარსის ინტეგრაცია
- კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო სტრატეგიები
- ფოკუსირება პრობლემის გადაჭრაზე
- გუნდური მუშაობა
- კომუნიკაცია

STEM ICA-ში თითოეული ელემენტი ფასდება 5-ქულიანი შკალით 0-დან 4-მდე (0-არ არის, 1-სუსტი, 2-ადეკვატური, 3-კარგი, 4-შესანიშნავი). მონაწილეები ასევე ავსებენ კი ან არა კითხვებს, რაც დაეხმარება მიმომხილველებს თითოეული პუნქტის ფარგლებში სხვადასხვა ინდიკატორებზე პასუხის გაცემაში.

მეოთხე - მონაცემთა წყარო იყო გაკვეთილის შემდგომი კვლევა, რომელიც თითოეულმა მონაწილემ ინდივიდუალურად ჩაატარა ინჟინერიის სწავლებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

ტრიადების დონეზე ანალიზის მიზანი იყო გამოეკვლიათ თუ როგორ გვემავდნენ და ატარებდნენ ჯგუფები ინტეგრირებულ STEM გაკვეთილს, იმის გათვალისწინებით, რომ ტრიადული სტრუქტურის გამოყენება არ არის ტიპური მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამისთვის ან დაწყებითი კლასების საკლასო ოთახში, კვლევის ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილები გაანალიზდა ინდივიდუალურ დონეზე, თუმცა რთული იყო მათში ინდივიდუალური წვლილის გარჩევა.

STEM ინტეგრაციის მეორე ეტაპი

მას შემდეგ, რაც მონაწილეებმა დაასრულეს სემინარი, ტრიადებმა მუშაობა დაიწყეს დაწყებით კლასში. მათ სთხოვეს წარმოედგინათ გაკვეთილის გეგმები, თუ როგორ აპირებდნენ საგაკვეთილო პროცესში Hexbug-ის დანერგვას (სურ.5). როგორც კვლევის ფარგლებში წარმოდგენილი 10 გაკვეთილის გეგმიდან ირკვევა, ტრიადები აპირებდნენ ინტეგრირებული STEM გაკვეთილისთვის საფუძვლად გამოიყენონ Hexbug აქტივობა, ამასთანავე, წარმოდგენილ ოთხ გეგმაში ინტეგრირებულია მათემატიკა და მეცნიერების კონცეფციები საინჟინრო დიზაინის ფარგლებში. დანარჩენი ექვსი ჯგუფისთვის, ერთში ინტეგრირებულია მათემატიკა და ინჟინერია, სამში ინტეგრირებულია მეცნიერება და ინჟინერია და ორი გაკვეთილის გეგმა მოიცავდა მხოლოდ საინჟინრო დიზაინს. ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ შვიდი გაკვეთილის გეგმა ძალიან ჰგავდა აკადემიურ კურსში გამოცდილ Hexbug აქტივობას. ექვს გაკვეთილის გეგმაში დამატებით ჩართული იყო საინჟინრო კომპონენტები, მაგალითად, ერთმა ტრიადამ შექმნა გაკვეთილის გეგმა ახალი სუპერგმირის კონტექსტით, რომელსაც ექნება მისია მარსზე. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ერთი გაკვეთილის გეგმა იყო თითქმის იდენტური იმის, რაც იყო წარმოდგენილი აკადემიურ კურსში.

მკვლევრების დასკვნით, მიუხედავად იმისა, რომ შვიდი ტრიადის ნამუშევარში მეცნიერების კონცეფციები ინტეგრირებულია გაკვეთილის გეგმაში და ხუთი გაკვეთილის გეგმასთან ერთად გათვალისწინებულია მათემატიკის ცნებები, მაინც ცოტაა მკაფიოდ განსაზღვრული საბუნებისმეტყველო ან მათემატიკის შინაარსის სასწავლო მიზანი. ცხრა გაკვეთილის გეგმა კი ფოკუსირებულია მხოლოდ გუნდური / თანამშრომლობითი უნარების განვითარებაზე.



სურ.5

STEM ინტეგრაციის მესამე ეტაპი

როდესაც ტრიადებმა რეალურად საკლასო სივრცეში განახორციელეს გაკვეთილი ის ძალიან ჰგავდა იმას, რაც იყო შემუშავებული აკადემიურ კურსში, მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმვის პროცესში ცალსახად იყო ნახსენები საინჟინრო დიზაინის პროცესი, განხორციელების დროს, მხოლოდ ხუთმა ჯგუფმა აღნიშნა დიზაინის პროცესი და მხოლოდ ერთმა ჯგუფმა შეასრულა საინჟინრო დიზაინის ყველა ეტაპი.

STEM ინტეგრაციის მეოთხე ეტაპი:

გაკვეთილის შემდგომი გამოკითხვა განხორციელდა მას შემდეგ, რაც საგაკვეთილო პროცესში დასრულდა Hexbug აქტივობა. მონაწილეებს დაუსვეს კითხვები, რომლებზეც ინდივიდუალურად უნდა დაეფიქსირებინათ პასუხი. ამან საშუალება მისცა მკვლევრებს პროცესი გაეანალიზებინათ ინდივიდის დონეზე, რათა უკეთ გაეგოთ ტრიადის თითოეული წევრის როლი გაკვეთილზე და ინტეგრაციის პროცესში.

აღნიშნული ტრიადებიდან შვიდმა განაცხადა, რომ მათ ყველა წევრთან ერთად დაგეგმეს გაკვეთილი. მხოლოდ ერთმა ჯგუფმა აღნიშნა, რომ მასწავლებელი ხელმძღვანელობდა დაგეგმვასა და სწავლებას. ტრიადებიდან ექვსმა აღნიშნა, რომ სტუდენტი, მასწავლებელი და ინჟინერი თანაბრად ლიდერობდნენ. კერძოდ, ინჟინერმა მათ გააცნო ინჟინერია და დიზაინის პროცესი, სტუდენტმა გააცნო დავალების კონტექსტი და მასწავლებელმა წარადგინა გაკვეთილი.

კვლევის ანალიზმა ტრიადებში მონაწილეთა როლების გარდა გამოკვეთა, რომ ტრიადების მიზანი Hexbug-ის გაკვეთილზე ძირითადად უნარების იდენტიფიცირება ან პრაქტიკაში გამოყენება იყო, გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო ბარიერები, თუ რატომ შეიძლებოდა გაკვეთილი არ ყოფილიყო წარმატებული. მაგ. საჭიროა პირველად უფრო მარტივი პროექტის გაკეთება; მოსწავლეებისათვის მეტი ინსტრუქცია საინჟინრო დიზაინის მიმართულებით; საკლასო ოთახში დროის მენეჯმენტი და სხვა.

კვლევის მონაწილეების ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა იყო, რომ მათ მუშაობის დროს დასჭირდათ სხვადასხვა მეცნიერებები და მათემატიკური ცნებები, რომელთა ინტეგრირება აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად, დისკუსიის ფარგლებში გამოიკვეთა დასკვნა, მასწავლებლებს სჭირდებათ მეტი მხარდაჭერა საკლასო ოთახში საგანთა ინტეგრირების და საინჟინრო დიზაინზე დაფუძნებული STEM სწავლების ფარგლებში.

მკვლევრების მოსაზრებით, მნიშვნელოვანია გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში მეტი აქცენტი გაკეთდეს შინაარსის კონცეპტუალიზაციაზე და მოხდეს მასწავლებლების მხარდაჭერა პრაქტიკულად როგორ განახორციელონ ეს საკლასო სივრცეში.

მკვლევრები გვთავაზობენ დასკვნებს / რეკომენდაციებს

შეიტანეთ ცვლილებები ან შეცვალეთ გაკვეთილის გეგმა, გაითვალისწინეთ აქტივობისთვის საჭირო დრო. მნიშვნელოვანია, საინჟინრო დიზაინზე დაფუძნებული გაკვეთილის გეგმაში არ იყოს შეზღუდული STEM სფეროების სპეციფიკური შინაარსი. ამიტომ მასწავლებლებს სჭირდებათ მეტი მხარდაჭერა, განსაკუთრებით, გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარებისას, რადგან შეზღუდულია STEM სპეციალობით მასწავლებელთა რაოდენობა და შესაბამისად საგაკვეთილო პროცესში არის ამ ტიპის გამოცდილების დეფიციტი, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეთა დაინტერესების შემცირებას ამ საგნებში. ხშირ შემთხვევაში მასწავლებლები STEM შინაარსის ინტეგრაციას განსხვავებულად აღიქვამდნენ. მაგალითად, მასწავლებლები ითხოვდნენ STEM ინტეგრირებული მიდგომების ახალი მეთოდების სწავლებას, მაგრამ აღნიშნავდნენ, რომ STEM სფეროების სპეციფიკური შინაარსი იყო ძალიან მცირე. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებს სჭირდებათ მეტი მხარდაჭერა დაგეგმვაში, რომ გაკვეთილზე მოხდეს სპეციფიკური საგნობრივი შინაარსის რეალიზება ინტეგრირების გზით, რომლის საუკეთესო საშუალებაცაა STEM სწავლება.

ეს დიდი გამოწვევაა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის, რომლებსაც ხშირად აქვთ შეზღუდული საგნობრივი ცოდნა მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის ფარგლებში (Sanders 2008; Ejiwale 2013).

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში აუცილებლად უნდა იყოს ასახული STEM სწავლების კონცეფციები.

STEM განმანათლებლებმა უნდა დაუსაბუთონ ძირითადი სასწავლო თეორიებისა და პედაგოგიური მიდგომის ფარგლებში, რამდენად მნიშვნელოვანია ინტეგრირების მნიშვნელობასთან დაკავშირებული ცოდნა; როგორ გამოიყურება ინტეგრირებული STEM ინსტრუქცია კლასში და სხვა.

საერთო ჯამში, კვლევის შედეგები ვარაუდობს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ტრიადამ შეძლო თავდაპირველად გამოენახა მრავალი გზა, რომლითაც საინჟინრო დიზაინი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სხვა დისციპლინების ინტეგრაციის კონტექსტი, რეალურ სიტუაციაში ეს კავშირები მრავალ დისციპლინას შორის ძირითადად დაკარგული იყო.

ძალზედ მნიშვნელოვანია, გავიგოთ როგორ გავაერთიანოთ STEM ელემენტები საკლასო ოთახში, მხარი დავეუჭიროთ მასწავლებელს არა მხოლოდ STEM დისციპლინების შინაარსის სწავლებაში, არამედ მოხდეს მოსწავლეების შესაბამისი უნარებისა და მასწავლებელთა პედაგოგიური მეთოდის განვითარება.



გამოყენებული ლიტერატურა:

1. [The Importance of STEM Education in Primary Schools - Scientix blog](#) Scientix blog
2. [STEM Teaching for the Primary Curriculum \(tts-international.com\)](#)
3. [The STEM Program as an Important Part of a Primary School Curriculum Essay Example \[Updated\] \(chalkypapers.com\)](#)
4. Baran, E., Bilici, S. C., Mesutoglu, C., & Ocak, C. (2018). *The impact of an out-of-school STEM education program on students' attitudes towards STEM and STEM careers. School Science and Mathematics*, 119(4), 223-235.
5. Hobbs L., Clark J.C., & Plant B. (2018). [Successful students – STEM program: Teacher learning through a multifaceted vision for STEM education.](#) (R. Jorgensen, K. Larkin, Eds). *STEM Education in the Junior Secondary*. Springer, Singapore.
6. Ross, M. S., Fletcher, T. L., Thamotharan, V., & Garcia, A. (2018). *I lead, therefore I am: The impact of student-mentor leadership opportunities on STEM identity development and sustainability. 2018 ASEE Annual Conference & Exposition. Salt Lake City, Utah. Web.*
7. Siregar, N. C., Rosli, R., Maat, S. M., & Capraro, M. M. (2020). [The effect of science, technology, engineering and mathematics \(STEM\) program on students' achievement in mathematics: A meta-analysis.](#) *International Electronic Journal of Mathematics Education*, 15(1), em0549.
8. Stehle, S. M., & Peters-Burton, E. E. (2019). [Developing student 21st century skills in selected exemplary inclusive STEM high schools.](#) *International Journal of STEM Education*, 6(39), 1-15.
9. United States Department of Education. (2017). [Resources for STEM education.](#)
10. Xu, G., Strathearn, L., Liu, B., Yang, B., & Bao, W. (2018). *Twenty-Year trends in diagnosed attention-deficit/hyperactivity disorder among US children and adolescents, 1997-2016. JAMA Network Open*, 1(4), e181471. doi:10.1001/jamanetworkopen.2018.1471



ნინო ბაკლიონი

კომპიუტერული ტექნოლოგიების ექსპერტ-კონსულტანტი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

STEM პროექტები დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება

დღევანდელ სწრაფად განვითარებად სამყაროში ტექნოლოგია გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩვენი მომავლის ფორმირებაში. **STEM** (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) პროექტების დაწყებით საფეხურზე დანერგვა არა მხოლოდ აძლიერებს მოსწავლეებში პრობლემის გადაჭრის უნარს, არამედ აძლიერებს მათ ცნობისმოყვარეობას და შემოქმედებითობას. ეს სტატია ეხება საინტერესო ვებგვერდების გამოყენებას **STEM** პროექტების მიმართულებით, რომლებიც ორიენტირებულია ტექნოლოგიაზე, დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის.

1. ინტერაქტიული, კოლაბორაციული კოდირების აქტივობები

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებისთვის კოდირების გაცნობა და სწავლება მათ გამოთვლითი აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებაში დაეხმარება. არსებობს მრავალი უფასო ონლაინ რესურსი, როგორცაა [Scratch](#), [Code.org](#), [Blockly | Google for Developers](#). რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კოდირების სწავლებისთვის დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის.

პროექტის იდეა: შესთავაზეთ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს კოდირების საფუძვლები ინტერაქტიული თამაშებისა და თავსატეხების საშუალებით, ლოგიკური აზროვნებისა და გამოთვლითი უნარების ხელშესაწყობად. რესურსი: [ისწავლე დღეს, ააშენე ნათელი ხვალის დელი დღე. | Code.org](#) - ყოვლისმომცველი პლატფორმა, რომელიც გთავაზობთ უფასო კოდირების კურსებს ყველა ასაკის მოსწავლეებისთვის.

პროექტის იდეა: წაახალისეთ მოსწავლეები, ითანამშრომლონ კოდირების პროექტებზე, ხელი შეუწყონ გუნდურ მუშაობას და შემოქმედებითობას პროგრამირების უნარების შესწავლისას. რესურსი: [ScratchEd-Scratch - Educators \(mit.edu\)](#) უზრუნველყოფს რესურსებს და მხარდაჭერას მასწავლებლებისთვის, რათა ასწავლონ კრეატიული კოდირება და პროგრამირების კონცეფციები Scratch-ის, ვიზუალური პროგრამირების ენის გამოყენებით.

2. რობოტიკა და ავტომატიზაცია

რობოტიკა არის კიდევ ერთი სფერო, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას STEM ცნებების დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის სწავლებისთვის.

პროექტის იდეა: ჩართეთ მოსწავლეები მარტივი რობოტების შექმნასა და პროგრამირებაში, წაახალისეთ გუნდური მუშაობა და პრობლემების გადაჭრა. რესურსი: [Classroom Solutions for STEM and STEAM | LEGO® Education -LEGO](#) განათლება: გთავაზობთ რობოტიკის კომპლექტებს და სასწავლო გეგმის მასალებს, რომლებიც შესაფერისია დაწყებითი განათლებისთვის.



3. აპლიკაციის შემუშავება ბავშვებისთვის



პროექტის იდეა: გააცანით მოსწავლეებს აპლიკაციების განვითარების საფუძვლები, რაც მათ საშუალებას აძლევს შექმნან მარტივი აპლიკაციები ან თამაშები, ხელი შეუწყოს ლოგიკური აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარებს. რესურსი: [Thunkable: -Thunkable: Best no code app builder | No code app creation - thinkable.com](https://www.thunkable.com) მოსახერხებელი პლატფორმა, რომელიც ბავშვებს საშუალებას აძლევს შექმნან და გამოაქვეყნონ საკუთარი აპლიკაციები, კოდირების გარეშე. პლატფორმაში ჩაშენებულია ვიზუალური ბლოკებით პროგრამირების გარემო.

4. 3D ბეჭდვის თავგადასავლები

3D ბეჭდვა არის ტექნოლოგია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსწავლეებისთვის დიზაინის, ინჟინერიისა და მენარმეობის სწავლებისთვის. არსებობს



მრავალი უფასო ონლაინ რესურსი, როგორცაა [Tinkercad](https://www.tinkercad.com), რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის 3D ბეჭდვის სწავლებისთვის.

პროექტის იდეა: გააცანით მოსწავლეებს 3D ბეჭდვა, ნება მიეცით მათ შექმნან მარტივი ობიექტები, ხელი შეუწყონ ინოვაციას და დიზაინის აზროვნებას. რესურსი: [Tinkercad | Create 3D digital designs with online CAD](https://www.tinkercad.com) ადვილად გამოსაყენებელი 3D დიზაინის ინსტრუმენტი დამწყებთათვის, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შექმნან და დაბეჭდონ თავიანთი დიზაინი.

5. ციფრული თხრობა

პროექტის იდეა: შეუთავსეთ ტექნოლოგია შემოქმედებითობას, ნახალისეთ მოსწავლეები შექმნან ციფრული ისტორიები, გააძლიერონ მათი კომუნიკაციის უნარები და წარმოსახვა. რესურსი: [Storybird - Read, write, discover, and share the books you'll always remember.](https://www.storybird.com) პლატფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გაუზიარონ ვიზუალური ისტორიები, რაც ხელს უწყობს მათ თხრობის უნარს.

6. ვირტუალური რეალობა (VR) და გაფართოებული რეალობა (AR)

ვირტუალური რეალობა შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლის გამოცდილების შესაქმნელად, რაც დაეხმარება მოსწავლეებს რთული ცნებების გაგებაში. არსებობს მრავალი უფასო ონლაინ რესურსი, როგორცაა [Google Expeditions](https://www.google.com/expeditions/), რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ვირტუალური რეალობის სწავლებისთვის დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის.



პროექტის იდეა: წაიყვანეთ მოსწავლეები ვირტუალურ საველე ექსკურსიებზე VR ტექნოლოგიის გამოყენებით, რაც მათ საშუალებას მისცემს შეისწავლონ სხვადასხვა ადგილები და ისტორიული მოვლენები და გააძლიერონ სწავლის გამოცდილება. რესურსი: [Google Expeditions: Arts & Culture Expeditions — Google Arts & Culture](#) გთავაზობთ ვირტუალური რეალობის საველე ვიზიტებს და 360-გრადუსიან ტურებს საკლასო ოთახებისთვის, რაც სწავლას შთამბეჭდავს და ინტერაქტიულს ხდის.

AR Augmented reality ტექნოლოგია რეალურ სამყაროში ვირტუალური ელემენტების შემოტანას უზრუნველყოფს. ეს ყველაზე ხელმისაწვდომი გაფართოებული რეალობის სახეა. გაფართოებული რეალობა შეიძლება გამოყენებულ იქნას ინტერაქტიული სასწავლო გამოცდილების შესაქმნელად, რაც დაეხმარება მოსწავლეებს რთული ცნებების ვიზუალიზაციაში. არსებობს მრავალი უფასო ონლაინ რესურსი, როგორცაა **Metaverse**, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სწავლებისთვის დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის.

პროექტის იდეა: AR აპლიკაციების ინტეგრირება გაკვეთილებში, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს შეისწავლონ ვირტუალური სამყაროები, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო გეგმასთან, რაც სწავლას გახდის შთამბეჭდავს და მიმზიდველს. რესურსი: **Metaverse: [Koji - Sell anything on social media \(withkoji.com\)](#)** მოსახერხებელი პლატფორმა ინტერაქტიული და საგანმანათლებლო AR გამოცდილების შესაქმნელად კოდირების გარეშე.

7. განახლებადი ენერჯის შესწავლა

პროექტის იდეა: ჩართეთ მოსწავლეები ისეთ პრაქტიკულ აქტივობებში, რომლებიც დაკავშირებულია განახლებადი ენერჯის წყაროებთან, როგორცაა მზის და ქარის ენერჯია, გარემოსდაცვითი ცნობიერების ხელშეწყობა და სამეცნიერო კვლევა. რესურსი: [KidWind — Teaching the World about Renewables](#) გთავაზობთ საგანმანათლებლო კომპლექტებს და მასალებს, რათა ასწავლონ მოსწავლეებს ქარის ენერჯის შესახებ სახალისო ექსპერიმენტების საშუალებით.

8. ინტერნეტის უსაფრთხოება და ციფრული მოქალაქეობა

პროექტის იდეა: ასწავლეთ მოსწავლეებს ონლაინ უსაფრთხოების, პასუხისმგებლიანი ინტერნეტის გამოყენებისა და ციფრული ეთიკის შესახებ, მიეცით მათ ციფრულ სამყაროში პასუხისმგებლობით ნავიგაციის უფლება. რესურსი: [Common Sense Education](#) უზრუნველყოფს გაკვეთილის გეგმებს და რესურსებს ციფრული მოქალაქეობისა და ონლაინ უსაფრთხოების სწავლებისთვის ყველა ასაკის მოსწავლეებისთვის.

9. თამაშზე დაფუძნებული სწავლება

პროექტის იდეა: დანერგეთ საგანმანათლებლო თამაშები, რომლებიც ასწავლიან პროგრამირების ცნებებს, მათემატიკასა და მეცნიერებას სათამაშო ფორმით, რაც აძლიერებს მოსწავლეთა ჩართულობას და გაგებას. რესურსი: [pbskids.org](#) საბავშვო თამაშები: გთავაზობთ მრავალფეროვან საგანმანათლებლო თამაშებს, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა საგნებს დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის.



10. ელექტრონიკა და სქემები

პროექტის იდეა: მიეცით საშუალება მოსწავლეებს შექმნან მარტივი ელექტრონული პროექტები ისეთი კომპონენტების გამოყენებით, როგორცაა LED-ები და სენსორები, რაც ხელს უწყობს სქემების და ელექტრონიკის გაგებას. რესურსი: [Adafruit Learning System](#) გთავაზობთ ნაბიჯ-ნაბიჯ სახელმძღვანელოებს და ვაკუვთილებს წვრილმანი ელექტრონიკის პროექტებისთვის, რომლებიც შესაფერისია დამწყებთათვის.

11. კომპიუტერული მეცნიერება

პროექტის იდეა: ასწავლეთ კომპიუტერული მეცნიერების ცნებები კომპიუტერის საჭიროების გარეშე პრაქტიკული, ინტერაქტიული აქტივობებით, რაც აბსტრაქტულ იდეებს უფრო კონკრეტულს გახდის ახალგაზრდა მოსწავლეებისთვის. რესურსი: [CS Unplugged](#) გთავაზობთ უფასო რესურსებს და აქტივობებს კომპიუტერული მეცნიერების საფუძვლების შემოქმედებითად სწავლებისთვის.

12. მათემატიკისა და მეცნიერების სიმულაციები

პროექტის იდეა: გამოიყენეთ ინტერაქტიული სიმულაციები რთული მათემატიკური და საბუნებისმეტყველო ცნებების ასახსნელად, რაც აბსტრაქტული თეორიები უფრო გასაგები გახდება მოსწავლეებისთვის რესურსი: [PhET ინტერაქტიული სიმულაციები: PhET: Free online physics, chemistry, biology, earth science and math simulations \(colorado.edu\)](#) გთავაზობთ უფასო ინტერაქტიულ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო სიმულაციებს სხვადასხვა თემებისთვის, შესაფერისი დანყებითი განათლებისთვის.

ზემოთ მოცემული პროექტის იდეები მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ტექნოლოგიების გამოყენება STEM განათლებაში დანყებით საფეხურზე. ტექნოლოგიას შეუძლია STEM საგნები უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახადოს მოსწავლეებისთვის, რაც გამოიწვევს მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას. ტექნოლოგიას შეუძლია ხელი შეუწყოს მოსწავლეებს შორის თანამშრომლობას და კომუნიკაციას, ეხმარება მათ გუნდური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებაში.

მრავალფეროვანი STEM პროექტებისა და რესურსების დანყებით განათლებაში ჩართვით, მასწავლებლებს შეუძლიათ გააჩინონ სიყვარული ტექნოლოგიებისა და სწავლის მიმართ, მოამზადონ მოსწავლეები მომავლისთვის, სადაც ტექნოლოგია მათი ცხოვრებისა და კარიერის ფუნდამენტური ნაწილია.

დანყებით ტექნოლოგიურ განათლებაში STEM პროექტების ჩართვა არა მხოლოდ ამზადებს მოსწავლეებს მომავალი კარიერისთვის, არამედ მათში ნერგავს გატაცებას ინოვაციებისა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისთვის.



თამარ ჩირგაშვილი

IB MYP მასწავლებელი,
ევროპული სკოლა
“STEAM სკოლებში“ ქვეპროგრამის ასისტენტი,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი მათემატიკაში

მათ-გაბაჟონი

პროექტის შინაარსი:

გიგანტური ასტეროიდი დედამიწისკენ მიემართება. დედამიწასთან მისი შეჯახება დედამიწის განადგურებას გამოიწვევს. სამხედრო გენერლებმა გაცნობეს ასტეროიდზე ბირთვული რაკეტების გაშვების 3 შესაძლო გზა. თქვენზეა დამოკიდებული, გაარკვიოთ, როგორ გადაარჩინოთ დედამიწა.

ვარიანტი 1 - სახმელეთო გაშვება:



რაკეტა გაშვებული იქნება მიწიდან, რომელიც მალა მიიწვეს წუთში 1 მილის სიჩქარით.

ვარიანტი 2 - თვითმფრინავის გაშვება:



რაკეტა გაშვებული იქნება თვითმფრინავიდან, რომელიც დაფრინავს 6 მილის სიმაღლეზე. თუმცა, ეს რაკეტები უფრო ნელია და შეუძლიათ მხოლოდ 1 მილის სიჩქარით სვლა ყოველ 3 წუთში.

ვარიანტი 3 - წყალქვეშა გაშვება:



რაკეტა გაშვებული იქნება წყალქვეშა ნავიდან, რომელიც ცურავს წყლის ზედაპირიდან 1 მილის სიღრმეზე. წყალქვეშა რაკეტები მოძრაობენ წუთში 2 მილის სიჩქარით.

დანერე თითოეული ვარიანტის გრადიენტ-გადაკვეთის ფორმა. (სურ.1)

$g(x)=$



$p(x)=$



$s(x)=$



ასტეროიდი ჩვენ ატმოსფეროში მინიდან 12 მილის სიმაღლიდან მოემართება და ყოველ 3 წუთში 2 მილის სიჩქარით ეცემა.

თუ ასტეროიდი ზედმეტად მიუახლოვდება მიწას, რაკეტის აფეთქება იმდენ ზიანს გამოიწვევს, რამდენიც თავად ასტეროიდს შეეძლო. თქვენმა მეცნიერებმა გაცნობეს, რომ თუ შეძლებთ ასტეროიდის შეჩერებას მინიდან 8 მილზე მეტ მანძილზე, დედამიწა გადაარჩება.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შექმენი ასტეროიდისა და მისი შეჩერების ვარიანტების ვიზუალიზაცია და დაამტკიცე შენი მოსაზრება, თუ რომელი ვარიანტის არჩევით გადაარჩენ დედამიწას. მაგალითისთვის: ვთქვათ სამხედრო გენერლებმა შეგატყობინეს, რომ ასტეროიდის შეჩერების კიდევ ორი გზა არსებობს: პირველი - შეგვიძლია 3 მილის სიმაღლის მქონე მთიდან გავუშვათ წუთში 1 მილის სიჩქარით მოძრავი რაკეტა, ან მეორე - მინიდან 2 მილის სიმაღლეზე მფრინავი ვერტმფრენიდან გავუშვათ რაკეტა, რომლის სიჩქარეა 4 მილი / წუთში.


ვიზუალიზაციის შესაქმნელად, შეგიძლია გამოიყენო პროგრამა „დესმოსი“:
<https://www.desmos.com/>

ამ გრაფიკების ასაგებად:


1. გადადი <https://www.desmos.com/calculator> ლინკზე, სადაც დაგხვდება ასეთი ფანჯარა (სურ.2)



2. მარცხენა ზედა კუთხეში ჩანერე შენს მიერ მიღებული გადაჭრის გზის განტოლება, მაგალითად, ასე: (სურ.3)



3. მარცხენა მხარეში გამოჩნდა მეორე განტოლების ველი, სადაც შეგიძლია ჩანერო მეორე განტოლება მაგალითად, ასე: (სურ.4)



ამ ვებ გვერდის გამოყენებით, შენ მარტივად შეძლებ ნარმოადგინო გადაჭრის გზების ვიზუალიზაცია.

ინტეგრირებული საგნები: მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერება.

საგნობრივი სტანდარტები / მისაღწევი შედეგები:

- ფუნქციებისა და მისი თვისებების დახმარებით რეალური პრობლემის გაანალიზება და გადაწყვეტა;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების დახმარებით რეალური პრობლემისა და მისი გადაჭრის გზის მოდელირება.

საკვანძო და მიმართულების მიმცემი კითხვები:

- რა პრობლემის წინაშე დგახარ?
- როგორ შეგიძლია დასმული პრობლემის ნარმოადგენა?
- რაში დაგეხმარება თითოეული გადაჭრის გზის გრაფიკული და y -გადაკვეთა?

პროექტის შეფასების კრიტერიუმები / სტრატეგია:

- პრობლემის გაგება-გააზრება.
- შექმნილია ასტეროიდისა და გადაჭრის გზების ვიზუალიზაცია.
- დასაბუთებულია მიღებული გადაწყვეტილება და აკმაყოფილებს დავალების პირობებს.


განხორციელების სავარაუდო ვადა: 3 გაკვეთილი.

საჭირო მასალა:


- კომპიუტერი
- სანერი საშუალებები
- სახაზავი

განხორციელების (სასწავლო) პროცედურები:


- მოსწავლემ უნდა მოახდინოს ასტეროიდის მოძრაობისა და თითოეული ვარიანტის ვიზუალიზაცია:




ასტეროიდი



ვარიანტი I



ვარიანტი III



ვარიანტი II




$a(x) = -2/3x + 12$

$g(x) = 1x$



$p(x) = 1/3x + 6$

$s(x) = 2x - 1$



- მოსწავლემ უნდა დაწეროს მოძრაობის აღმწერი ფუნქციის განტოლებები
- ამ მონაცემებზე დაყრდნობით მოსწავლეებმა უნდა დაასკვნან, რომელი ვარიანტი ანეკობთ. (სურ.5)

წყაროები:

<https://www.youtube.com/watch?v=2LCE5eOKzkc>

<https://www.youtube.com/watch?v=PR0pw5dhx6M>

<https://www.youtube.com/watch?v=aWVLrt8SqfE>



ლავით ქლანგი

თავისუფალი უნივერსიტეტის ქიმიის
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი,
“STEAM სკოლებში“ ქვეპროგრამის ასისტენტი,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ტყვიის ალგოზიანი ქალაქი (ინდიკატორი)

პროექტის შინაარსი:

თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიების, ინდუსტრიისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის განვითარებამ, გარდა სარგებლისა, მოიტანა საკმაოდ დიდი ეკოლოგიური ზიანიც. ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რა ტიპის დამაბინძურებლები არსებობს და როგორია მათი აღმოფხვრის, განეიტრალების თანამედროვე მეთოდები. თუმცა, სანამ ამას მოვახერხებთ, მანამდე ჩვენ უნდა შევეცადოთ ჩვენი საცხოვრებელი გარემოს გამოკვლევა ამ დამაბინძურებლებზე, მაგალითად, მძიმე მეტალებზე - კერძოდ ტყვიაზე. (სურ.1)



სურ.1

არაერთი ისტორიული წყარო არსებობს, რომელიც მოგვითხრობს ტყვიით მონამლული ადამიანების შესახებ, მაგალითად, ძველ რომში ტყვიას, საყოფაცხოვრებო ჭურჭლის (სურ.2): თეფშები, ჭიქა, კოვზი და ა.შ. დასამზადებლად იყენებდნენ, რადგან ეს ნივთები, ძალიან ჰგავდა ოქროსაგან დამზადებულს. შესაბამისად, გამოიყურებოდა მდიდრულად. სწორედ ამიტომ, ამგვარი ჭურჭლის სისტემატიურმა გამოყენებამ იმდროინდელი მაღალი ფენის საზოგადოების სიკვდილიანობა გამოიწვია. დღესაც ტყვია აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა დანამატებად, ნაკეთობის, ხელსაწყო და ა.შ. დასამზადებლად.

მათი არასწორი მოხმარება და არასწორი უტილიზაცია ინვესტს გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას, შესაბამისად, პროექტის მიზანია მოსწავლეებმა დაამზადონ ტყვიის აღმომჩენი ქალაქი - „ინდიკატორი“, რითაც შეძლებენ თავიანთი საცხოვრებელი გარემოს ანალიზს, ტყვიაზე შემოწმებას.

ინტეგრირებული საგნები: ქიმია, მათემატიკა, ხელოვნება, ეკოლოგია

მისაღწევი შედეგები

- გარემო პირობებზე ზრუნვა ნიშნავს, ზრუნვას ადამიანთა ჯანმრთელობაზე
- კვლევითი უნარების შექმნა
- კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება
- ცოდნის პრაქტიკაში გადატანა, იდეის ხორცშესხმა

საკვანძო და მიმართულების მიმცემი კითხვები

- როგორია ტყვიის გავრცელება ბუნებაში, სად გვხვდება ყოფაცხოვრებაში?
- როგორ შეიძლება აღმოვაჩინოთ იგი?
- რა ტიპის რეაქციები ახასიათებს?
- ძირითადად ნაერთების თუ თავისუფალი სახითაა გავრცელებული?
- რამდენად მნიშვნელოვანია მისი ნაერთების წყალში ხსნადობა?



სურ. 2

პროექტის სტრატეგია

- საკითხის კვლევა, შესაბამისი ლიტერატურისა და საგნობრივი ცოდნის გამოყენებით
- ინდიკატორის დამზადების პროცედურის თანმიმდევრობა და გააზრებულობა
- მიღებული ინდიკატორის ეფექტურობა, შემონმება სპეციალურად წინასწარ დაბინძურებულ ხსნარზე
- რამდენად ფართო ინდიკატორული თვისებების მატარებელია, მოსწავლეების მიერ დამზადებული ინდიკატორის ქაღალდი?
- წარმოადგინეთ ექსპერიმენტული მტკიცებულება, თქვენ მიერ დამზადებულ ინდიკატორის ქაღალდს (სურ.3) გარდა ტყვიისა შეუძლია თუ არა სხვა ნივთიერების აღმოჩენა?



განხორციელების სავარაუდო ვადა: 2 კვირა

საჭირო მასალები და რეაქტივები:

- ქიმიური ჭიქა
- ქურა გამაცხელებელი
- მინის წკირი
- ფილტრის ქაღალდი
- ფუნჯი
- სახამებელი
- გამობდილი წყალი
- კალიუმის იოდიდი
- ტყვიის ნიტრატი
- მარილმჟავა
- ნატრიუმის ნიტრიტი

ექსპერიმენტული პროცედურა

შენიშვნა: ქვემოთ მოცემულია ძირითადი, საკვანძო პროცედურები ექსპერიმენტის მსვლელობისა. მისი ფუნდამენტური გააზრება და განხორციელება მოსწავლის, ამ ექსპერიმენტის ჩამტარებელი გუნდის უშუალო პასუხისმგებლობაა

1. ლიტერატურის მოპოვება
2. სახამებლიანი ხსნარის დამზადება (ემულსია)
3. ხსნარში კალიუმის იოდიდის გახსნა
4. მიღებული საბოლოო ხსნარით (ემულსია) ფილტრის ქაღალდის დამუშავება
5. ქაღალდიდან ზედმეტი ემულსიის მოშორება
6. ქაღალდის გაშრობა
7. ქაღალდის, როგორც ინდიკატორის გამოცდა/ეფექტურობის დადგენა
8. შემონმება, აქვს თუ არა ამ ინდიკატორის ქაღალდს სხვა ნივთიერების აღმოჩენის უნარი?





ლავით ქლენგი

თავისუფალი უნივერსიტეტის ქიმიის
სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი,
“STEAM სკოლებში“ ქვეპროგრამის ასისტენტი,
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

წვარი ტაბლეტი დაპროექტების

პროექტის შინაარსი:

დაქანცული „მოლაშქრეები“ ხშირად ცეცხლს აგიზგიზებენ, რათა საკვები მოამზადონ და დანაყრდნენ. თუმცა, ცეცხლის დასანთებად მათ ფიჩხების შეგროვება და სანთებელას მობილიზაცია ესაჭიროებათ. მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ თანამედროვე მოლაშქრეები, ასევე სამხედროები, საერთოდ აღარ მიმართავენ ცეცხლის წარმოქმნის ტრადიციულ მეთოდს საკვების მოსამზადებლად, არამედ ისინი იყენებენ მყარი ფორმის თეთრ ტაბლეტებს, რომლებიც გამოირჩევა სითბოს წარმოქმნის მაღალი უნარით. წვისას არ თხევადდებიან და არ ტოვებს ნაცარს. ეს გახლავთ „სითბოს ტაბლეტი“ იგივე („esbit“), რომელიც ჯერ კიდევ 1936 წ. შეიქმნა გერმანიაში.

ამ ტაბლეტში შემავალი ძირითადი ნივთიერება არის ჰექსამინი, რომელიც 1856 წ. ბუტლეროვმა აღმოაჩინა. ამ ტაბლეტს სხვანაირად „ჰექსამინის საწვავ ტაბლეტ-საც“ კი ეძახიან, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, რატომღაც მას დღემდე მშრალი სპირტის სახელით მოიხსენიებენ.

ამ პროექტის მიზანია, შევექმნათ ჰექსამინის საწვავი ტაბლეტის მსგავსი საშუალება, რომელიც საკმაოდ ეფექტური იქნება, როგორც პიკნიკზე, ლაშქრობაზე წასაღებად, ისე ლაბორატორიაში სპირტქურის ჩასანაცვლებლად. ასევე პროექტის მიზანია, მოსწავლეებმა დაამზადონ საპიკნიკე მონყობილობა, კონსტრუქცია



სურ.1



სურ.2

საკვების მოსამზადებლად (სურათი: 1 და 2), რომლის გათბობა, გაცხელების მთავარი წყარო სწორედ, რომ მათ მიერ დამზადებული საწვავი / წვადი ტაბლეტი იქნება.

ინტეგრირებული საგნები: ქიმია, მათემატიკა, ხელოვნება

მისაღწევი შედეგები

- ქიმიური სინთეზის ჩატარების უნარი
- კვლევითი უნარების შექმნა
- კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება
- ცოდნის პრაქტიკაში გადატანა, იდეის ხორცშესხმა

საკვანძო და მიმართულების მიმცემი კითხვები

- ძირითადად რა ნივთიერებისგან შედგება კვერცხის ნაჭუჭი?
- როგორ მიდის რეაქცია ძმარმჟავასა და კალციუმის კარბონატს შორის?
- რა მიიღება ამ რეაქციის დროს?
- რაში შეიძლება გამოვიყენოთ რეაქციის პროდუქტი / რა კავშირშია იგი ჩვენ პროექტთან?
- როგორია რეაქციის პროდუქტისა და სპირტის ურთიერთქმედება?
- შეიძლება თუ არა რეაქციის პროდუქტი და სპირტი ერთად ქმნიდეს წვად მასას?
- თუ კი, მაშინ როგორ მისცემთ ტაბლეტის ფორმას? შეიძლება შელესებრივ იყოს.

პროექტის სტრატეგია

- საკითხის კვლევა, შესაბამისი ლიტერატურის და საგნობრივი ცოდნის გამოყენებით
- სინთეზის მსვლელობა - კვერცხის ნაჭუჭის დამუშავება ძმარმჭავით
- რეაქციის პროდუქტის გასუფთავება / თავისუფალი სახით მიღება
- გასუფთავებული რეაქციის პროდუქტის სპირტთან შეზავება
- ტაბლეტირების მეთოდი / ტექნიკა / ტექნოლოგია
- მოცემული სინთეზის სილრმისეული გაანალიზება
- საპიკნიკე მონყობილობის დამზადება/დიზაინი

განხორციელების სავარაუდო ვადა: 2 კვირა

საჭირო მასალები და რეაქტივები:

- ქიმიური ჭიქა
- მინის ნკირი
- ფაიფურის ჯამი
- პიპეტი
- როდინი
- ქურა გამაცხელებელი
- კვერცხის ნაჭუჭი
- ძმრის ესენცია
- აცეტონი
- სპირტი

ექსპერიმენტული პროცედურა

შენიშვნა: ქვემოთ მოცემულია ძირითადი, საკვანძო პროცედურები ექსპერიმენტის მსვლელობისა, მისი ფუნდამენტური გააზრება და განხორციელება მოსწავლის, ამ ექსპერიმენტის ჩამტარებელი გუნდის უშუალო პასუხისმგებლობაა!

ლიტერატურის მოპოვება და დამუშავება

1. კვერცხის ნაჭუჭის იმ რაოდენობის გამოთვლა, რამდენიც საჭიროა თქვენ მიერ ჩაფიქრებული წვადი ტაბლეტების რაოდენობის დასამზადებლად
2. კვერცხის ნაჭუჭის დაქუცმაცება / ანონა
3. რეაქციის შედეგად გათვლილი ძმრის ესენციის დამატება, კვერცხის ნაჭუჭებზე
4. რეაქციის ჩატარება
5. რეაქციის პროდუქტის გამოყოფა (ამოშრობით)
6. რეაქციის პროდუქტის გასუფთავება
7. რეაქციის პროდუქტის სპირტთან შეზავება
8. მიღებული შეზავებული მასის ტაბლეტირება, ან თქვენთვის სასურველი ფორმის მიცემა.
9. საპიკნიკე მონყობილობის კონსტრუქციის დამზადება - გუნდის დიზაინი - სრული თავისუფლება
10. თქვენ მიერ სინთეზირებული წვადი ტაბლეტისა და საპიკნიკე კონსტრუქციის გამოცდა.





ქეთევან შიქარიძე


ეკოლოგიის მაგისტრი, მასწავლებელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის სოკოებისა და სპორთვანი მცენარეების განყოფილების უფროსი ლაბორანტი.

“STEAM სკოლებში“ ქვეპროგრამის ასისტენტი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ფოტოსინთეზის სიჩქარის დადგენა მსუნიანი ფოთლებით

პროექტის შინაარსი:

ყველა ცოცხალ ორგანიზმს სჭირდება ენერჯია არსებობისთვის, რომელსაც საკვებით იღებს. მცენარეები ცხოველებისგან განსხვავებულად იკვებებიან, ისინი არიან ავტოტროფები და საკვებს თავად ქმნიან, პროცესს ეწოდება ფოტოსინთეზი. ფოტოსინთეზი არის მრავალსაფეხურიანი პროცესი, მცენარეთა უჯრედები იყენებენ სინათლის ენერჯიას, წყალს (H₂O), ნახშირორჟანგს (CO₂), შედეგად კი შაქრის მოლეკულებს (C₆H₁₂O₆) და ჟანგბადს (O₂) წარმოქმნიან. ფოტოსინთეზი პასუხისმგებელია დედამიწის ატმოსფეროს ჟანგბადით შევსებაზე, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ. ამრიგად, მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მცენარეებისთვის, არამედ ყველა ორგანიზმისთვის, რომელიც ჟანგბადზეა დამოკიდებული.



ბევრი ფაქტორი გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად სწრაფად შეუძლიათ მცენარეებს ფოტოსინთეზი. მაგალითად, საკმარისი სინათლისა და წყლის გარეშე, მცენარე ფოტოსინთეზის პროცესს აწელებს.

სიჩქარე შეიძლება განისაზღვროს მასზე მოქმედი ფაქტორების ინტენსივობის გაზრდის ან შემცირების საშუალებით. მცენარეებმა იპოვეს მცენარეებში ფოტოსინთეზის სიჩქარის გაზომვის მარტივი გზა. ექსპერიმენტს ეწოდება „მცურავი ფოთლის დისკის შესწავლა“.

ექსპერიმენტის საშუალებით უნდა გამოიკვლიოთ რომელი ფაქტორები ახდენს გავლენას ფოტოსინთეზის სიჩქარეზე.

ინტეგრირებული საგნები: ბიოლოგია, მათემატიკა, ქიმია

მისაღწევი შედეგები:

- გარემო პირობები გავლენას ახდენს ბიოლოგიური სისტემის აგებულებასა და ფუნქციებზე
- სასიცოცხლო თვისებები ადაპტირებულია გარემო პირობებთან
- მათემატიკური გარდაქმნების საშუალებით რეალური სიტუაციების ანალიზი და ტექნოლოგიების საშუალებით სიტუაციის მოდელირება



საკვანძო და მიმართულების მიმცემი კითხვები:

- რა არის ფოტოსინთეზი? როგორ გარდაქმნიან მცენარეები სინათლის ენერგიას ქიმიურ ენერგიად?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ფოტოსინთეზის პროცესი მცენარისთვის და მის გარშემო არსებული ცოცხალი ორგანიზმებისთვის?
- რომელი გარემო ფაქტორები ზემოქმედებს ფოტოსინთეზის სიჩქარეზე: სინათლის ინტენსივობა, მცენარის ტიპი თუ ტემპერატურა?
- რა ხდება მცურავი ფოთლის დისკის ანალიზის დროს?
- როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენს გარემო ფაქტორები ფოტოსინთეზის სიჩქარეზე?
- როგორ უკავშირდება ფოტოსინთეზი უჯრედულ სუნთქვას?

პროექტის შეფასების კრიტერიუმები: იხილეთ დანართი N1

განხორციელების სავარაუდო ვადა: ორი კვირა

საჭირო მასალა:

1. გამჭვირვალე ჭიქები (დიდი ზომის)
2. საზომი ჭიქა
3. წყალი
4. ჩაის კოვზი
5. საჭმელი სოდა (ნატრიუმის ჰიდროკარბონატი)
6. ჭურჭლის სარეცხი საშუალება
7. მცენარის ფოთლები (მაგალითად-ისპანახი, პიტნა, სურო და სხვა)
8. სახვრეტელა (Hole punch)
9. ნემსი, 20მლ ან მეტი (ნემსის გარეშე)
10. წყალგამძლე მარკერი
11. სინათლის წყარო (კაშკაშა შუქი სასურველია)
12. ქაღალდის პირსახოცები
13. ტაიმერი
14. ფანქარი ან კალამი

კვლევის ჩასატარებელი რესურსები:

- სინათლის სხვადასხვა წყარო: LED ნათურა, მზის შუქი. **სინათლის სხვადასხვა ინტენსივობის წყარო.**
- **სხვადასხვა ღია ფერები:** ფერადი ცელოფნის ფურცლები, ფერადი ლენტი
- **წყლის ტემპერატურა:** თერმომეტრი, ყინულის ნატეხები
- **ფოთლების სხვადასხვა ფერი:** ყვითელი, წითელი და მწვანე ფოთლები
- **მცენარის სხვადასხვა სახეობა:** სხვადასხვა სახეობის მცენარის ფოთლები
- **ლაბორატორიის რვეული**

მცურავი ფოთლის დისკის ანალიზის განხორციელებისთვის საჭირო პროცედურები:

1. აიღეთ 4 თანაბარი ზომის ჭიქა, გაუკეთეთ ეტიკეტი, 2 ჭიქას დაანერეთ **“+ სოდა”**, ორ ჭიქას დაანერეთ **“- სოდა”**.
2. **“+ სოდა”** რომელ ჭიქებსაც ანერიათ ერთ-ერთში ჩაასხით 300 მლ წყალი და მოამზადეთ 0,2%-იანი ნატრიუმის ჰიდროკარბონატის ხსნარი (0,6გ ნატრიუმის ჰიდროკარბონატი + 300მლ გამომხდელი წყალი), ერთი წვეთი ჭურჭლის სარეცხი სითხე (ჭურჭლის სარეცხი სითხე მოქმედებს ფოთლის ჰიდროფობულობაზე, სოდა ამარაგებს ფოთოლს ნახშირორჟანგით).
3. **“- სოდა”** რომელ ჭიქებსაც ანერიათ ერთ-ერთში გააკეთეთ ხსნარი-300 მლ წყალი, 1 წვეთი ჭურჭლის სარეცხი სითხე. კარგად აურიე ხსნარები, მაგრამ ფრთხილად. შეეცადე არ წარმოქმნა სითხეში ბუშტები.
4. მოამზადე განათება, როგორც ხელოვნური, ასევე შეიძლება მზის სინათლის გამოყენებაც, განათება დააშორე ჭიქებს დაახლოებით 40 სმ-ით და მეტი-თაც.
5. გამოჭერი 20 ფოთლის დისკი, ყველა უნდა იყოს თანაბარი ზომის, მოერიდეთ დიდ ფოთლის ძარღვებს (სურ.N1).



სურ. 1



6. მოათავსეთ 10 ფოთლის დისკი ნემსში. ამისთვის ამოიღეთ დეჟუმი ნემსიდან და მოათავსეთ დისკები ნემსის კორპუსში (სურ. N2).



სურ. 2

7. დააბრუნეთ დეჟუმი ნემსში, დაანეჭით დეჟუმს და შეამცირეთ ჰაერის რაოდენობა მაქსიმუმამდე, ფრთხილად არ დაამტვრიოთ ფოთლის დისკები.
8. ნემსში შეიტანეთ რამდენიმე მილილიტრი სოდიანი ხსნარი. აუცილებლად დააკვირდით, ყველა ფოთლის დისკი ნემსში ხსნარის თავზე უნდა ტივტივებდეს (სურ. N3).



სურ. 3

9. ნემსის ხვრელს დააფარე თითი და ამოწიე დეჟუმი ვაკუუმის შესაქმნელად, თითი მყარად უნდა გეჭიროს ნემსის ხვრელზე ჰაერმა რომ არ შეაღწიოს (სურ. N4).



სურ. 4

10. ამ მდგომარეობაში გააჩერე ვაკუუმი 10-15 წამის განმავლობაში. შეიძლება ნემსის ოდნავ შენჯღრევა, ამ დროს შექმნილი ვაკუუმი ამორებს ფოთლის დისკებს ჰაერს.

11. 10-15 წამის გასვლის შემდეგ აიღეთ თითი ნემსიდან და გაათავისუფლეთ ვაკუუმი, კარგად დააკვირდი თუ ყველაფერი სწორად გააკეთე. ფოთლის დისკები უნდა ჩაიძიროს და თავზე აღარ უნდა იტივტივოს, თუ ყველა დისკი არ ჩაიძირა, პროცედურა გაიმეორე თავიდან (სურ. N5).



სურ. 5

12. ფოთლის დისკებიანი ხსნარი ჩაასხი ცარიელ ჭიქაში, რომელსაც აწერია “+სოდა” და შეავსე ჭიქა სოდიანი წყალით დაახლოებით 3 სმ-მდე (სურ. N6).



სურ. 6

13. გაიმეორე იგივე პროცედურები, გამოიყენე დარჩენილი 10 ფოთლის დისკი და ხსნარი სოდის გარეშე.

14. ორივე ჭიქა განათავსე სინათლის წყაროს ქვეშ ერთდროულად (სანამ მეორე პროცედურას დაიწყებ, პირველი გაკეთებული ხსნარი მოათავსე სრულ სიბნელეში).

15. ორივე ხსნარის მომზადების შემდეგ მოათავსე სინათლის წყაროს ქვეშ ერთდროულად. გარკვეული დროის შემდეგ ფოთლის დისკები, რომლებიც ჭიქის ფსკერზე არიან დაიწყებენ ამოსვლას წყლის ზედაპირზე. ჩართე წამზომი და იანგარიშე დრო, რომელიც დასჭირდება ფოთლის დისკს ჭიქის ფსკერიდან ამოტივტივდეს წყლის ზედაპირზე. პერიოდულად შეიძლება მოურიო დისკებიან ჭიქას.

(იხილე ვიდეო ბმულები, სადაც ასახულია ექსპერიმენტების პროცედურები)



16. ცხრილში თითოეული მონაცემი მოინიშნე 1 ნუთის ინტერვალით.

17. ექსპერიმენტი და მონაცემების ჩანერა განაგრძე იქამდე, სანამ რომელიმე ჭიქაში ყველა დისკი არ დაიწყებს ტივტივს ზედაპირზე

დრო(ნუთი)	ფოთლის	დისკების რაოდენობა
	ჭიქა + სოდა	ჭიქა - სოდა
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		

განსაზღვრეთ საშუალო დრო თქვენი მონაცემებიდან. საშუალო დრო არის დრო, რომელიც სჭირდება დისკების 50% ამოტივტივებას. ამ დროს ასევე უნოდებენ ეფექტურ დროს (ET50).

იმისთვის რომ, გაიგოთ რომელი ცვლადი მოქმედებს ფოტოსინთეზის სიჩქარეზე უნდა განსაზღვროთ ეფექტური დრო სხვადასხვა გარემოში. გაიმეორეთ წინამორბედი ექსპერიმენტი და შეცვალეთ ცვლადები (ცხრილი 2).

ცვლადი	შესაძლო ვარიაციები
1 სინათლის ინტენსივობა	ნათურა 10 სმ, 20 სმ, 40 სმ ჭიქიდან 40 სმ დაშორებით
2 ფერი	მწვანე, წითელი, ლურჯი, ყვითელი, თეთრი შეიძლება ცელოფანის ფილტრის გამოყენება.
3 წყლის ტემპერატურა	10, 20, 30, 40
4 სოდის კონცენტრაცია	0გ/100მლ. 0,1გ/100მლ. 0,5გ/100მლ. 2გ/100მლ.
5 მცენარის სახეობა/ჯიში	სხვადასხვა სახეობის მცენარე
6 ფოთლის ფერი	მწვანე, ყვითელი, წითელი, თეთრი და სხვა.
7 სინათლის წყაროს სახეობა	LED, მზის შუქი

2. ცვლადები, რომლებიც შეიძლება გამოიყენო ფოტოსინთეზის სიჩქარის ანალიზის დროს.

მოცემული ექსპერიმენტის შედეგების ანალიზით უნდა განსაზღვროთ ფოთლის დისკებში ჟანგბადის წარმოების სიჩქარე, რაც ასევე ფოტოსინთეზის სიჩქარეს წარმოადგენს მცენარეში.

საბოლოოდ მიღებული შედეგების საფუძველზე დაადგინეთ ფოტოსინთეზის ოპტიმალური პირობები

ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ უპასუხე დასმულ შეკითხვებს:

- როდესაც ფოთლის დისკები მოათავსე ნემსში რატომ ცურავდნენ ხსნარის თავზე?
- ვაკუუმში ყოფნის შემდეგ რატომ ჩაიძირა დისკები?
- სინათლეზე მოთავსების შემდეგ რატომ დაიწყეს დისკებმა ამოტივტივება?
- რატომ დაუმატე ხსნარში სოდა (ნატრიუმის ჰიდროკარბონატი)?
- გაზრდის თუ არა ფოტოსინთეზის სიჩქარეს მეტი ნახშირორჟანგი, მეტი სინათლე ან მაღალი ტემპერატურა?
- რა ფერის ფოთოლს ახასიათებს უფრო სწრაფი ფოტოსინთეზი? რატომ?
- ხსნარის ტემპერატურის შეცვლა განაპირობებს თუ არა ფოტოსინთეზის სიჩქარეს? როგორია მაღალ ტემპერატურაზე? დაბალ ტემპერატურაზე?
- როგორ მოქმედებს სინათლის ინტენსივობა ან სინათლის ფერი ფოტოსინთეზის სიჩქარეზე?

წყაროები და ლიტერატურა:

- <https://www.youtube.com/watch?v=4NM7kGKDK2A>
- https://www.youtube.com/watch?v=_guZeO-IR3M
- <https://www.youtube.com/watch?v=q0aw4yYlfx4>
- https://www.sciencebuddies.org/science-fair-projects/project-ideas/PlantBio_p053/plant-biology/photosynthesis-leaf-disk-assay



ქეთევან უჩიჩიშვილი

ეკოლოგიის მაგისტრი, მასწავლებელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის სოკოებისა და სპორთვანი მცენარეების განყოფილების უფროსი ლაბორანტი.

“STEAM სკოლებში“ ქვეპროგრამის ასისტენტი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

პეპლები გვასწავლიან ფრენას

პროექტის შინაარსი:

მფრინავი ცხოველები ფრენის დროს ფრთებს ამოდრავებენ, გარდა ამისა მათ შეუძლიათ ჰაერში ლივლივი, ფრთების გაჩერება და ისე ფრენა, რაც ფრინველებს ენერჯის დაზოგვაში ეხმარება.



